

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N011/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი მომსახურებას უწევს კლიენტს, თუმცა კლიენტი არ ურიცხავს ჰონორარის ნაწილს, რომელიც შეთანხმების შესაბამისად, წინასწარ უნდა გადაეხადოს. ადვოკატს უკვე შესრულებული აქვს გარკვეული იურიდიული მოქმედებები. კლიენტი, დაპირების მიუხედავად კვლავაც არ ასრულებს პირობას. შეუძლია თუ არა ადვოკატს ჰონორარის გადაუხდელობის გამო შეწყვიტოს იურიდიული მომსახურება, კლიენტის საქმეზე სასამართლო სხდომის გამართვამდე 10 დღით ადრე?

ანალიზი

საადვოკატო მომსახურების საწყის ეტაპზე მხარეები თანხმდებიან ჰონორარის ოდენობასა და გადახდის პირობებზე. ადვოკატს, როგორც ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს კლიენტს ჰონორარის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით კლიენტს წინსწრებით უნდა ჩაერიცხა თანხის ნაწილი. მიუხედავად ვალდებულების შეუსრულებლობისა, ადვოკატმა განახორციელა გარკვეული იურიდიული მოქმედებები კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატს, შეთანხმებული ჰონორარის გადაუხდელობის საფუძველით, შეუძლია შეუწყვიტოს კლიენტს საადვოკატო მომსახურება, თუმცა არ უნდა დააზიანოს მისი ინტერესები. კლიენტს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო მიმართოს ახალ ადვოკატს დახმარებისათვის. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად არის 10 დღე გონივრული ვადა იმისთვის, რომ საქმის სირთულიდან გამომდინარე კლიენტმა მისი ინტერესების დაუზიანებლად შეძლოს საქმისწარმოება, მიმართოს ახალ ადვოკატს, რომელსაც თავის მხრივ დრო დასჭირდება საქმის გასაცნობად.

დასკვნა

სასამართლო სხდომის გამართვამდე 10 დღით ადრე კლიენტის საქმეზე საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია არ იყოს გონივრული პერიოდი იმისთვის, რომ საქმისწარმოება გაგრძელდეს კლიენტის ინტერესების დაუზიანებლად.

¹ <https://gba.ge/pdf/5dde851473488.pdf/011.19%20gacemis%20tarigi%2013.02.19.pdf>